საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) მოსარჩელენი – სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს საავტორო უფლებიდან, აგრეთვე აღმოჩენაზე, გამოგონებაზე, რაციონალიზატორულ წინადადებასა და დიზაინზე უფლებებიდან;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი | მიხეილ ყაველაშვილი

თბილისი,

11 ნოემბერი 2025 წ.

N1031-IVმს-XIმპ